1. N14

ტფილისი

№ 30

...შაბათი, 7 თებერვალი, 1901 წ.

1877—1901

ივერია

№ 30

ოთხშაბათი, 7 თებერვალი, 1901 წ.

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 8 თებერვალს,
ვლ. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ
ყველა ბილეთები გაყიდულია,
ხოლო შაბათს, 10 თებერვალს, დანიშნულია
უკანასკნელი წარმოდგენა
გ. გუნიას საბენეფისოდ.
წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა
„ციხის საიდუმლო"

14

ძმ. მ. და კ. ენიკოლოფოვების
აფთიაქში
მკურნალები ჰმორიგეობენ
ღამ-ღამობით
საღამოს 9 საათ. დილის 7 საათამდე.
გოლოვინის პროსპექტი, კადეტთა
კორპუსის გვერდით.
(10—29—1). ტელეფონი, № 637.

ტფილისის კერძო
სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი. შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარნცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

შ. ი. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ იქმნენ: აზნაური ს. დეკანოზიშვილი და გლეხი ს. ესაძე ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონებად.

დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგან: ბათუმის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის მეთვალყურე ეფრემ სიმონოვი და ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ვასილ კანდელაკი.

გადაყვანილ იქმნა: ქუთაისის გუბერნიის საპოლიციო დარაჯის ოფიცერი თავ. მხეიძე ტვერის დრაგუნთა მე-43 რაზმში.

ახალი ამბავი

⁂ უმაღლესს მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ კავკასიის ქალაქებში შემდგარი იქნეს განსაკუთრებული კომიტეტები. ამ კომიტეტებმა შემწეობა უნდა აღმოუჩინონ მცხოვრებთ ტფილისში განზრახულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად. კომიტეტებმა უნდა განუმარტონ მცხოვრებთ გამოფენის დებულება და წესები, დაეხმარნენ ექსპონატების გამოგზავნის დროს და სხვ.

⁂ გამგეობის წევრის შესტაკოვის გამოანგარიშებით, ტფილისის თვით-მმართველობის ყველა ნაწილში (გარდა ლომბარდისა) ამ ჟამად სულ 670 კაცი მსახურებს (ამათ რიცხვში ქალაქის მუშებიც არიან) თურმე, რომლის შესანახად 179,000 მანეთამდის იხარჯება წელიწადში.

⁂ როგორც ადგილობრივ გაზეთებს პეტერბურგიდგან ატყობინებენ, უმაღლეს მთავრობას საბოლოოდ გარდაუწყვეტნია ბათუმის ოლქი ცალკე გუბერნიად იქმნას გადაკეთებული.

⁂ ქალაქის გამგეობას უკვე მიუღია პეტერბურგიდგან ქალაქის მესამე სესხის ობლიგაციები 800,000 მანეთისა. ეს ობლიგაციები ჯერ წარედგინება ტფილისის სახაზინო პალატას ბეჭდის დასაკრავად და მერე მოხდება ტირაჟი.

⁂ გუშინ, 6 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა პირველმა განყოფილებამ გამოაცხადა თ. ალექსანდრე ციციშვილის საქმის შესახებ განაჩენი, რომლითაც თ. ციციშვილი გამართლებულ იქმნა, რადგანაც სასამართლომ სცნო, რომ ციციშვილი იმ დროს, როდესაც მან ბესარიონ ბაქრაძე თავში დასჭრა, თვით განსაცდელში იყო და თვისის თავის დასაცავად იძულებულ იქმნა იარაღი ეხმარა. იმავე განაჩენით სასამართლომ ბესარიონ ბაქრაძის საჩივარი, სამოქალაქო წესით აღძრული ფულის შესახებ, განუხილველად დასტოვა. ბრალმდებლის ამხანაგი არ დაჰყაბულდა ხსენებულს განაჩენს და განაცხადა, რომ განაჩენს სამოსამართლო პალატაში განვასაჩივრებო.

⁂ 3 თებერვალს მომხდარ სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა კრებას ამოურჩევია ჟურნალ „Инженерное дѣло"-ს რედაქტორად ინჟენერი კარპოვიჩი, ხოლო სარედაქციო კომისიის წევრებად ინჟენერნი ვეისი, კოლოდიზენსკი, პერედერი და სხვანი. პროგრამა ჟურნალისა შემდეგ განყოფილებებისაგან შესდგება: ორიგინალური, გადმოკეთებული და გადმოთარგმნილი წერილები, ბიბლიოგრაფია, საინჟენერო ახალი ამბები, მოხსენებანი, ოქმები და ანგარიშები საზოგადოების განყოფილების წევრთა კრებებისა, ნეკროლოგები, ბიოგრაფიები და სხვ.

⁂ გუშინ-წინ, 5 იანვარს, ტფილისის რკინის გზის სადგურზედ შემდეგი უბედურება მოხდა. საღამოს 5 საათზედ, „მანევრების" დროს, მატარებელ ქვეშ მოჰყვა რკინის გზის სახელოსნოების ერთი მუშა, რომელიც ვაგონ ქვეშ აპირობდა გაძრომას. მატარებელმა გაჭყლიტა მუშა.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს 1-ლი სისხლის განყოფილების სესსია ქ. გორში 26 თებერვალს დაიწყებს საქმეების განხილვას, ხოლო სიღნაღში—22 თებერვალს.

⁂ როგორც „ახ. მიმ."-ს შეუტყვია, ფინანსთა მინისტრს დაუმტკიცებია ის წესები, რომლითაც უნდა დაინიშნოს ხოლმე ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ხარჯით გ. ადელხანოვის სახელობაზედ დაარსებული სტიპენდიები ტფილისის საკომერციო სასწავლებელში. სტიპენდია მიეცემა საკომერციო სასწავლებლის ორს მოსწავლეს, რომელნიც სწავლის დამთავრების შემდეგ 500 მანეთს კიდევ მიიღებენ.

⁂ საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების სახსოვრად, კავკასიის სამხედრო შტაბთან არსებულ სამხედრო საისტორიო განყოფილებას განუზრახავს 12 სექტემბრისათვის გამოსცეს წიგნი ამ სათაურით: „კავკასიის საიუბილეო კრებული". რადგანაც ამ კრებულის პროგრამაში კავკასიის ქალაქების წარსული საუკუნის ისტორიაც არის შეტანილი, ამიტომ განყოფილების უფროსს უთხოვნია ტფილისის ქალაქის მოურავისათვის, დაავალოს ვისმეს ქალაქ ტფილისის მოკლე ისტორიის (წარსულის საუკუნის) შედგენა. ქალაქის მოურავს ეს საქმე ქალაქის მდივნის ბ-ნ სტ. ჰრელაშვილისთვის დაუვალებია.

⁂ გუშინ, 6 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზედ აკურთხეს გოლოვინის პროსპექტზედ ახლად აგებული დიდი შენობა ტფილისის საარტისტო საზოგადოებისა. კურთხევას დაესწრენ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ, მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სვეჩინი, კავკასიის ჯართა კორპუსის კამანდირი თავ. ამირეჯიბი, ქალაქის მოურავი, საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი გაკელი, საარტისტო საზოგადოების წევრნი, ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი. პირველი წარმოდგენა საარტისტო საზოგ. დოების ახალს შენობაში გაიმართება ხვალ, 8 თებერვალს.

⁂ ხვალ, 8 თებერვალს, ქალაქის გამგეობის დარბაზში საღამოს 8 საათზედ სხდომა ექმნება ქალაქის გამგე-კომისიას, რომელსაც განსახილველად აქვს სულ 7 საქმე: 1) მოხსენება ქალაქის დედათა საპროფესიონალო სახელოსნოს გამგეს დანიშვნის შესახებ; 2) მოხსენება ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორისა: შემუშავდეს წესი ქალაქის სკოლებში მოსწავლეთათვის ბილეთების დარიგებისა, რომ ავადმყოფობის დროს შეეძლოთ ქალაქის ამბულატორიაში მისვლა, და სხვანი.

⁂ როგორც შევიტყეთ, შავისქვის მწარმოებელთა საბჭოს უთხოვნია ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისათვის ნება დართოს საბჭოს საკუთარი ვაგონები და ორთქლმავალები იქონიოს შავის-ქვის გადასაზიდად. საეჭვოა, რომ რკინის გზის გამგეობამ ნება მისცეს საბჭოს საკუთარის ვაგონების შეძენისა, რადგანაც გამგეობას ამას წინად უკვე შეუკვეთნია ექვსი ორთქლ-მავალი და ორასი ვაგონი განსაკუთრებით ჭიათურის შტოსათვის შავი-ქვის გადასაზიდად.

⁂ ტფილისის 1-ლ ვაჟთა გიმნაზიაში წარჩინებულ სწავლისა და ყოფაქცევისათვის საჩუქრები მიუღიათ, სხვათა შორის, შემდეგ ქართველებს: მე-VI კლასის მოსწავლეს ვახტანგ ზარაფიშვილს მიუღია 1-ლ ხარისხის საჩუქარი; მეორე ხარისხის საჩუქარი: მე-V კლასის მოსწავლეს ვლადიმერ გაბაშვილს; მე-III კლასისას—ნიკოლოზ კობიაშვილს, გიორგი ნიკოლაძეს, მე II კლასისას—ალექსანდრე ლეონიძეს, დაალექსანდრე ციციშვილს.

⁂ როგორც „ახ. მიმ"-ს ლეჩხუმის მაზრის დაბა ცაგერიდგან სწერენ, გასულ წლის 30 იანვარს დამწვარა ცაგერის ორკლასიან სასწავლებლის შენობა, რომელიც დაბის მცხოვრებთ 4000 მან. დასჯდომიათ. საზოგადოებას უთხოვნია სახალხო სკოლების დირექტორისათვის ეშუამდგომლა მთავრობის წინაშე შემწეობის აღმოჩენის შესახებ სკოლის შენობის ასაგებად. ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა: საზოგადოებას მიუღია 1000 მან. და კიდეც შეუძენია ახალი შენობა სკოლისათვის.

⁂ ბაქო. 5 თებერვალს აქაურს სადგურზედ უბედურება მოხდა. როდესაც მატარებელი № 118 ერთის ლიანდაგიდგან მეორეზედ გადადიოდა, ქვეშ მოჰყვა ვიღაც უცნობი ახალგაზდა კაცი, ესე თვრამეტის წლისა. უცნობი იქვე გარდაიცვალა.

⁂ მთავრობას გარდაუწყვეტია ქ. ერევანში საბაღოსნო სასწავლებელი დაარსოს. ამ საქმის განსახორციელებლად უკვე შემდგარა განსაკუთრებული კომიტეტი ერევნის ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით. ამ საქმისათვის ერევნის ქალაქის თვით-მმართველობა შეჰპირებია შემწეობას სკოლისათვის ადგილად და ფულად 3,000 მანეთს წელიწადში.

⁂ ორშაბათს, 5 თებერვალს, ვერაზედ გერმანიის ქვეშევრდომმა ზინნე-

ვერის აგურხანაში ერთი საცოდაობა დატრიალდა. აგურხანაში მუშაობის დროს უეცრად ძირს ჩამოიქცა თაღი და ქვეშ მოიტანა 5 მუშა, დანარჩენებმა მოასწრეს კარში გამოსვლა. ხუთის კაციდგან ერთი საპარსეთის ქვეშევრდომი მაჰმად ჰუსეინ-ოღლი იქვე გაისრისა, ერთმა ფეხები მოიტეხა, ხოლო დანარჩენნი მცირედ დაშავდნენ. დაშავებულნი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. აგურხანის დაქცევის მიზეზის გამოსარკვევად გამოძიებაა დანიშნული.

* * ამიერ კავკასიის რკინის გზის იმ მოსამსახურეთ, რომელთა წლიური ჯამაგირი 360 მანეთს არ აღემატება, შვილების მონათვლისა და გარდაცვალებულ ცოლის ან შვილის დასაფლავებისათვის ფული ამ წესით მიეცემათ: მონათვლისათვის: თუ მოსამსახურეს შვილი გაუჩნდა და იმის მონათვლისათვის შემწეობას თხოულობს, მარტო ცოლი ჰყავს, იმას მიეცემა 6 მანეთი; თუ ცოლიც და 1 შვილიც ჰყავს—7 მანეთი; თუ ცოლი და 2 შვილი—8 მან.; ხოლო ცოლი და 3 ან მეტი შვილი—10 მან.; დასაფლავებისათვის: მოსამსახურეს, რომელსაც შვილი მოუკვდება, თუ ცოლი ჰყავს, ან და ერთი შვილი—მიეცემა 6 მან.; ცოლი და ორი შვილი—7 მან.; ცოლი და სამი ან მეტი შვილი—8 მანეთი.

* * ხვალ, 8 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში გან სახილველად დანიშნულია საქმე დავით და ბიჭია მიქელაძეებისა. პირველს ბრალდება კაცის მოკვლის განზრახვა, ხოლო მეორეს სასჯელთა დებულების მე-1707 მუხლში აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა.

* * რაჭა. წარსულის 1900 წლის 31 დეკემბერს, სოფ. მიქარწმინდაში, რაჭის სამრევლო სკოლების მეთვალყურის მეთაურობით „შობის ხე“ იქმნა გამართული. ამ იშვიათს დღესასწაულზედ მოწვეულ იყვნენ როგორც ადგილობრივის სამრევლო-საეკკლესიო სკოლის მოსწავლენი, აგრეთვე მათი მშობლები და ბევრნი სხვანიც. დღესასწაულზედ სკოლის საუკეთესო მოწაფეებმა რჩეული ხალხური ლექსები წაიკითხეს, ხოლო მასწავლებელმა მიხეილ ივანეს ძე სოხაძემ მოხდენილად წაიკითხა სხვა-და სხვა სცენები „ჩანგიდგან“. ყოველივე ეს დიდად ესიამოვნა დამსწრე საზოგადოებას და დიდად მოეწონა სხვა-და-სხვა სიმღერები, თქმულნი ვლადიმერ ნ. სოხაძის ლოტბარობით. ხალხი საღამოს 9 საათზედ დაიშალა ნასიამოვნები. დღესასწაულის დაწყებისას სკოლების მეთვალყურემ მღ. სიმონ ჭელიძემ მოსწავლეებსა და მათს მშობლებს სიტყვით მიჰმართა.

* * ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობა აცხადებს, რომ იმ მგზავრებმა, რომლებიც სადგურებ შუა მყოფ ბაქანზედ ჩასხდებიან მატარებელში, ფული მახლობელ სადგურამდე უფროსს კონდუქტორს უნდა ჩააბარონ და ამასთანავე უეჭველად ჩამოართვან ფულის მიღების ბარათი, ხოლო დანარჩენის გზის ბილეთი-კი პირველსავე სადგურზედ მისვლის უმალ კასაში უნდა აიღონ.

* * ქუთაისიდგან გვატყობინებენ, რომ 5 თებერვალს, ქუთაისის სადგურზედ, რკინის გზის ხუროს ივანე წერეთელს, ჩისლობის კეთების დროს, დასცემია ფიცარი და მარცხენა ხელი მოუმტვრევია.

◆

ქალაქის საბჭო

5 თებერვალი

ამ სხდომაზედ საბჭოს უმთავრესი ყურადღება მიიპყრო უსახელო საზოგადოებისაგან ქალაქის მიერ 600 000 მან. სესხის აღების საქმემ. როგორც მკითხველებმა უწყიან, გამგეობამ არ მიიღო უსახელო საზოგადოებისაგან შეტანილი 300,000 მანეთი იმ პირობებით, რა პირობებითაც ეს საზოგადოება თხოულობდა. ხოლო უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა ბ-ნმა როზიმ ქალაქის გამგეობას ახალი წინადადება წარუდგინა, რომელშიაც ამბობდა, რომ საზოგადოება თანახმაა ასესხოს ქალაქს 600,000 მან. $6^0/_0$-ად იმ პირობით, თუ ამ ფულით ჯერ ის ქუჩები იქნება მოკირწყლული, სადაც ლიანდაგია გაყვანილი. გამგეობისა და განსაკუთრებულ კომისიის შეერთებულ სხდომას დაუდგენია: რადგანაც საობლიგაციო სესხის აღება გაძნელდება და დაგვიანდება, ფული ფრიად საჭიროა ქალაქის ქუჩების მალე მოსაკირწყლად, ამისათვის ისესხოს ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან 600,000 მანეთი. ამ დადგენილებას წინააღუდგნენ ხმოსანნი: თაიროვი, ბაბოვი, არღუთინსკი-დოლგორუკოვი, სულხანოვი და აზიზოვი. ბოლოს საბჭომ ხმის უმეტესობით უარ ჰყო გამგეობის დადგენილება და მიიღო ხმოსან ალიხანოვის წინადადება—შესდგეს კომისია და დაევალოს მას ქუჩების მოსაკირწყლად საჭირო თანხის გამოძებნა. გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა წაიკითხა ავჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერთა განცხადება ამ გზის უსახელო საზოგადოებისათვის გარდაცემის შესახებ. საბჭომ დაადგინა, სანამ ამ საგანს საბოლოოდ განიხილავდნენ, დაბეჭდილ იქმნას ამ საქმის შესახები ქაღალდები.

დასასრულ, საბჭომ კენჭის ყრით აარჩია ორი დეპუტატი ქალაქის მე-3 საობლიგაციო სესხის ტირაჟის მოსახდენად და იმ კომისიის წევრები, რომელთაც საშუალებანი უნდა გამოსძებნონ ქუჩების მოსაკირწყლად. დეპუტატებად ამორჩეულ იქმნენ ხმოსნები შადინოვი და აკოფოვი, ხოლო კომისიის წევრებად: ალიხანოვი არღუთინსკი-დოლგორუკოვი, დოლუხანოვი, ლისიციანი, თაიროვი, ფრიდონოვი და ბაბოვი.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ყორაღანი. (საინგილო) ს. ყორაღანი ვაკეზედ მდებარეობს ზაქათალიდგან 30 ვერსის სიშორეზედ, მდ. ალაზნის მახლობლად. ჰავა სოფლისა ციებ-ცხელებიანია, ზაფხულობით ფრიად ცხელი და გაუსაძლისი. შუა სოფელზედ მიდის ერთი ქუჩა, რომელზედაც აქეთ-იქით მწკრივად ჩარიგებულია როგორც ქრისტიან, ისე მუსულმან ინგილოების სახლ-კარი. პირველის შეხედულობით ს. ყორაღანი უცხო ქვეყნელების ახალშენს მოგაგონებთ. სოფ. ყორაღანში სცხოვრობს სულ 122 კომლი, რომელთაგანაც 63—ქრისტიანია და 59 მუსულმანი. არ გეგონოთ, რომ ეს მუსულმანნი სხვა ტომის ხალხი იყოს; იგინი ისეთივე ინგილოები არიან, როგორც დანარჩენნი ქრისტიანენი; მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იგინი ისრევე აღიარებენ ქართველობას, როგორც დანარჩენნი ქრისტიანენი და შეურაცხებად მიაჩნიათ, როდესაც თათრებად უწოდებენ: „ჩვენ თათრები-კი არა, ინგილოები ვართ, სარწმუნოებით მუსულმანნიო“. მიუხედავად იმისა, რომ მუსულმანთა მოძღვართ მუსულმან ინგილოებზედ დიდი გავლენა ჰქონიათ, მათ მაინც ენა, რწმენა ქრისტიანული სხვა-და-სხვა ჩვეულებისა, სიყვარული თანამოძმე ქრისტიან ინგილოებისადმი და ქართული გულ-უხვობა და სტუმართ-მოყვარეობა არ დაუკარგავთ. მაგ., მარხვის შენახვა, სალოცავებში წასვლა, ქრისტიანული უქმეები ისრევე სწამთ მუსულმან ინგილოებს, როგორც ქრისტიანებს. ქართული ენა ხომ როგორც ოჯახში, ისე გარედ შენახულია და კილო ლაპარაკისა ნამდვილი ქართული აქვთ. სხვა სოფლებთან შედარებით, (მაგ., ავიღოთ კახი, სადაც თითქმის ყველა ინგილო-ქრისტიანენი არიან, გარდა ორის კომლის ნადირაშვილებისა, რომლებიც 1863 წელს ქრისტიანობიდგან (გადაგნენ) ყორაღნელები ქართულად უფრო კარგად ლაპარაკობენ და მიუქცევენ ქიზიყურ კილოზედ. გარეგანის შეხედულობით და ტანისამოსით ხომ ყორაღნელები უფრო ქართველებს ჰგვანან, ვიდრე სხვა სოფლების ინგილოები. ვისაც-კი თავისის ხალხის სიყვარული აქვს, სწორედ სამწუხარო მოვლენად ჩასთვლის იმ გარემოებას, რომ ჩვენი თანამოძმე მუსულმანი ინგილოები უკუქცეულან ქრისტეს სარწმუნოებიდგან, რომელიც შემაერთებელი და გამამხნევებელი იყო ჩვენის ქართველ ერისა? რად მიუღიათ მაჰმადიანობა, რომლის მდევნელნიც ამ მუსულმან ინგილოების წინაპარნი იყვნენ. მიზეზი ამ გარემოებისა ბევრნაირი ყოფილა, მაგრამ ხალხი უმთავრეს მიზეზად შემდეგს გარემოებას ასახელებს:

ს. ბელაქანში სცხოვრობენ გალაჯოგვაჩნაძეები, რომლებიც 1851—60 წლ. მოინათლნენ და გადმოვიდნენ ქრისტეს სარწმუნოებაზედ. ამ თავადიშვილებს თავიასთ სოფელთან სადავო მამულები ჰქონიათ. მამულების დავა გალაჯოგვების სასარგებლოდ გარდაწყვეტილა. ხალხს უსამართლოდ უცვნია ამნაირი დაბოლოვება საქმისა და სხვა-და-სხვა კაცების ჩაგონებით ის მიზეზი დაუდვია, რომ გალაჯოგვებს, როგორც ახალს ქრისტიანებს, სამართალი გამოუსარჩლა და დავა იმათ სასარგებლოდ გარდასწყვიტაო; ამის გამო აჯანყდებიან და მთელ გალაჯოგ-ვაჩნაძეებს აკლებასა და ამოხოცვას უქადიან. საქმე მაშინ უფრო გამწვავებულა, როდესაც გალაჯოგვებს თავიანთს მამულში ეკკლესიის საძირკვლის ჩაყრა მოუწადინებიათ და ეკკლესიის აშენება დაუპირებიათ. ხალხი მაშინ უფრო აზვირთებულა, როდესაც მას მეთაურად და წინამძღოლად ფრიად გავლენიანი სამსახურ-შესრულებული რუსის ჯარის პოლკოვნიკი, სარწმუნოებით მაჰმადიანი, ჰაჯი მურთუზა ამოსჩენია. ეს კაცი წინა-აღუდგება გალაჯოგ-ვაჩნაძეების მოქმედებას, თავისის გაიძვერაობითა და მჭევრმეტყველობით უფრო ააშფოთებს ხალხს, მიუსევს გალაჯოგვაჩნაძეებსა და ეკკლესიის საძირკველს მთლად დაანგრევინებს და გაანადგურებინებს. შემდეგ ამისა ამ ხალხის ბრბოს ჰაჯი-მურთუზა ჭარისაკენ გამოუძღვება (ზაქათალისაკენ). ზაქათალის ოლქის უფროსი თავ. შალიკაშვილი რომ ამას შეიტყობს, აჯანყებული ბელაქნელები ჰაჯი-მურთუზას წინამძღოლობით ჭარზედ მოდიან, შეჰკრებს ადგილობრივს ჯარს და აჯანყებულების დასამშვიდებლად ბელაქნისაკენ გაემართება. ოლქის უფროსი და ჰაჯი-მურთუზა შუა გზაზედ შეიყრებიან. რადგანაც თავ. შალიკაშვილს ჰაჯი-მურთუზასთან მეგობრული განწყობილობა ჰქონია, თავს დაანებებს ჯარს, დააბინავებს ერთ ადგილას და თითონ მარტოდ წავა ჰაჯი-მურთუზასთან, რომ მეგობრულად მოელაპარაკოს, აჯანყებულნი დაამშვიდოს და უკან დააბრუნოს. ჰაჯი-მურთუზა პირველ მისალმებასთანავე იძრობს დამბაჩას და განსვენებულს შალიკაშვილს ესვრის და იქვე მოჰკლავს; შემდეგ მიუსევს აჯანყებულს ხალხსა და ოლქის უფროსის მიერ წამოყვანილს ჯარს თითქმის მთლად ამოაწყვეტინებს. ეს ამბავი უმაღლეს მთავრობის მხრივ დიდს ყურადღებას მიიქცევს და დაჰნიშნავენ გამოძიებას. გამოძიების დროს აჯანყებულნი ნუხიდგანა და დაღესტნიდგან მოსულ მოლებისა, შეიხებისა და ჰაჯიების ჩაგონებით იმ ჩვენებას მისცემენ, რომ ჩვენდა უნებურად გადავვგვანდით ქრისტეს სარწმუნოებაზედაო. აჯანყების მიზეზი მამულების დავა კი არ არის, ქრისტიანების ძალმომრეობააო. გაგვიშვით, ჩვენ ჩვენი სარწმუნოება გვღვიართო. მთავრობა ნებას მისცემს, რომ, ვისაც ქრისტიანობა არა ჰსურს, ისევ თავისს სარწმუნოებას დაუბრუნდეს. ვადას ექვს თვეს დაუნიშნავს. ამ შემთხვევით ისარგებლებენ მუსულმანთა მოძღვარნი და კალიასავით მოედებიან ქრისტიანთა სოფლებს: თასმალოს, ალიაბადს, მოსულს, ყანდაღს, ლალა-ფაშას, მარსაანს, შოთავარს, ენგიანს, ყორაღანს, ბელაქანს, კაკს და ხალხს მთავრობის ბრძანებას სარწმუნოების შესახებ თავიანთ სასარგებლოდ განუმარტავენ. ასე რომ ს. ალიაბადი, მოსული, ყანდაღი, ლალაფაშა, მარსაანი, შოთავარი, ენგიანი, ნახევარ ყორაღანი, თასმალო (ორი კომლი-და დარჩება ქრისტიანი), კაკი (მხოლოდ ორი კომლი ნადირაშვილები გადავლენ მუსულმანობაზედ) ქრისტიანობაზედ უარს იტყვიან და 1863 წელს მიიღებენ მუსულმანობას. მართალია, 6 თვის ვადა მისცა მთავრობამ, რომ ვისაცა ჰსურდა, ისევ მუსულმანობაზედ გადასულიყო, მაგრამ მუსულმანთა მოძღვრებს 1870 წ. გადაჰყავდათ ქრისტიანები მაჰმადის სჯულზედ. ქრისტიანების სამღვდელოება წინაღუდგა ამ შემთხვევას, მაგრამ ადგილობრივი მთავრობა ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევდა მათს საჩივარს. სოფელი ყორაღანიც, როგორც წინედ აღვნიშნეთ (ნახევარი), ქრისტეს სარწმუნოებიდგან იმავე 1863 წელს გადგა.

ერთად-ერთ სიმპატიურ დაწესებულებად ს. ყორაღანში უნდა ჩაითვალოს სოფლის სკოლა, რომელიც 1889 წელს დაუარსებია კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელს საზოგადოებას, მაგრამ დღემდე ამ სკოლას, სამწუხაროდ, ხალხის საკეთილდღეოდ სასურველი ნაყოფი ვერ მოუტანია. უმთავრესი მიზეზი, ჩემის აზრით, ის უნდა იყოს, რომ სკოლის დაარსებიდგან ამ თორმეტს წელიწადში სულ ცოტა 8—9 მასწავლებელი გამოცვლილა, რომელნიც ჰავის უვარგისობისა და სკოლის შენობის უქონლობისა გამო ბევრ ხანს ვერა რჩებოდნენ და სხვაგან გადადიოდნენ. სკოლა მოთავსებულია საეკკლესიო საკრებულოს სახლში, რომელიც სამის ოთახიდგან და ერთის სამზარეულოსაგან შესდგება. ამ სამს ოთახში მღვდელმაც უნდა იცხოვროს, მასწავლებელმაც და საკლასო ოთახიც უნდა იყოს. საკლასო ოთახი ბნელია და მოსწავლეების სასხდომებიც ფრიად ძველი და უვარგისია. სწორედ სამწუხაროა! შეხვალთ ს. ყორაღანში და ჰნახავთ: შუა სოფელში გამოჭიმულია მშვენივრად, სუფთად აგებული და შენახული მუსულმანთა მეჩეთი; გაივლით ცოტას და მიადგებით მშ რეულ-მონგრეულ ეზოს მართლმადიდებელთა ეკკლესიისას და აქვე მოთავსებულს შემწვარტლულს მიშლილ-მოდილს შენობას, რომელშიაც მღვდელი სდგას და სკოლაცაა მოთავსებული.

მაგრამ ამდენ უსიამოვნო ამბავთან შემიძლიან ერთი სანუგეშო მაინც ვაუწყო მკითხველს საზოგადოებას: „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ საბჭოს დადგენილებით წელს ამ სკოლის მასწავლებლად დაუნიშნავთ ინგილო ქალი ქეთევან ბაბ შვილისა, რომელსაც სწავლა ბოდბის ხევით წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში დაუმთავრებია. ეს ქალი მართალია ჯერ ახალგაზრდა და გამოუცდელია, მაგრამ მისი ნიჭი და მეცადინეობა დიდს იმედს იძლევა, რომ სკოლას სასურველს ნიადაგზედ დააყენებს. მასწავლეთა რიცხვს ახლავე თითქმის ერთიორად უმატნია და ამ ცოტა ხანში საეკლესიო მგალობელთა გუნდიც შეუდგენია, რომელიც მშვენივრად გალობს. სულით და გულით ვუსურვებთ, რომ მძიმე უღელი და მოვალეობა მასწავლებელისა ბოლომდე პირნათლად გადი ლებინოს და თავისის მეცადინეობით ინგილო დედათა ყოფა-ცხოვრებაზედ სასურველი გზა-კვალი დაეჩნიოს.

გ. ფარადაშვილი

◆

ცნობები მეაბრეშუმეობის შესახებ.

IX

მარსელი, 23 (10) იანვარი. ერთი კვირა-ღა დაგვრჩენია იანვრისა. შემდეგ ჩემის უკანასკნელის წერილისა (1 იანვ.) აქაურს ბაზარს სასიკეთო ცვლილება არა დასჩნევია-რა. ჩვენს ქვეყნის საქონლისა რაც საშობაო და საახალწლოდ არ გაიყიდა დაბალს ფასებში, მას მერმედ არა გაყიდულა-რა. ამ ხელის მოჭერით, როგორც იქნა, რვა ფრანკიდგან პირველის ხარისხის კილო პარკის ფასი რვა და ნახევრამდის ავიდა. ამ ფასებში გამყიდველმა რომ თავისუფლად დაანებოს, მოსალოდნელია, რომ კიდევ ძირს დაიწევს ფასი. ამნაირად, მართალია, ჯერ იანვრის ცოტა კიდევ დარჩენილა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იანვარმა ვერ გაამართლა ის მოლოდინი, რასაც მასზედ ამყარებდნენ. ეგონათ, რომ ამერიკის ალებ-მიცემობა გაცოცხლდებოდა, ნამეტურ მაკ-კინლეის ხელ-ახლად არჩევის შემდეგ, ამას სულ ფიქრობდნენ და ეხლაც ელიან, მაგრამ ეს მოლოდინი აგერ ამდენი ხანია ჯერ ისევ მოლოდინად რჩება. ამ მოსავლისა ამერიკას, წინანდელთან შედარებით, როგორც ეს უკვე გაცნობეთ, ორი მილიონი კილო აბრეშუმი ნაკლები მოუთხოვნია. ეს დანაკლისი ნახევრადაც რომ შეისრულოს ამერიკამ და მოითხოვოს, ამას ხელათ იგრძნობდა პარკის ვაჭრობაც.

მეორე მოლოდინი ის იყო, რომ ინგლისსა და ბურებს შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდნილიყო. ნაცვლად ამისა, საქმე თანდათან გამწვავდა და გართულდა. ამ შესანიშნავმა ომმა, რომელიც, ინგლისის პირვანდელ მოლოდინით, ხუმრობასავით უნდა გათავებულიყო, რასაკვირველია, ინგლისის გამარჯვებით, ინგლისის სათაყვანებელი დედოფალი ვიქტორიაც გადაიტანა, როგორც ერთხმად აღიარებენ აქ და ლამის ერთიანად შეარყიოს ამ ქვეყნის ფ

ნანსიური მდგომარეობა იმ წარმოუდგენელის ხარჯების მეოხებით, რომელიც ამ ომს დასჭირდა და კიდევ მოუნდება... დღეს მთლად ინგლისი და მისი მოკეთეები ვიქტორიას გარდაცვალებამ „დააობლა“ და დამწუხრა. ისე შეჩვია ამ ქვეყანამ თვალი და ყური ამ შესანიშნავის ქალის ხანგრძლივს და სახელოვანს მეფობას, რომ აღარავინ არ ფიქრობდა, თუ მისი მემკვიდრე უელსის პრინცი, უკვე სამოცის წლის კაცი, თავისს სიცოცხლეში ინგლისის ტახტზე ასვლას ეღირსებოდა. არავინ მოელოდა, თუ ვიქტორია ასე „უეცრად“ დაეკარგებოდათ. დღეს მოსალოდნელია, რომ ინგლისის პოლიტიკა სამშვიდობოდ შეიცვალოს, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ დღევანდელი მეფე დიდი მომხრე იყო ამ ომისაო; და თუ მშვიდობა ჩამოვარდა, რასაც ბურები დიდი ხანია ცის მანანასავით ელიან და მათთან ერთად მთელი ევროპაც სიხარულით მიეგებება, — ვაჭრობის საქმე გაუმჯობესდება, რადგანაც ეს უკანასკნელი მშვიდობიანობის შვილი გახლავს, ხოლო ომი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, გველეშაპია, რომელიც ვაჭრობისა და ალებ მიცემობის მასაზრდოებელ წყაროს ჰსრუტავსო.

თუმცა აქაური მთავრობა ყოველის მხრით ხელს უმართავს მეაბრეშუმეობას: ეწევა მეაბრეშუმეს, რომელიც პარკს იწევს, ფუთზედ სამ მანეთ ნახევრამდის (წინა წერილში შეცდომით მანეთ ნახევარი იყო ნათქვამი), ეწევა პარკის ძაფად ამომხვევს მექარხნეებს თითოეულს ამოსახვევ ჩარხზე ას ორმოც და ათ მანეთს (400 ფრ.), ეწევა აგრეთვე ფულით მქსოველებს, — მიუხედავად ამისა, ლიონის მექარხნეებიდგან დღეს პარლამენტში თხოვნაა, რომ მთავრობა კიდევ დაეხმაროს მქსოველებს: ბაჟი დაადვას საზღვარ-გარეთულს (შვეიცარიისას) ქსოვილებს, რომელიც საფრანგეთში შემოაქვთ, რომ ამით აქაურმა ქსოვილებმა მეტოქე მოიშორონ და ადგილობრივ მეტი ფასი აიღონ. „თუ მთავრობა არ დაგვეხმარა, ლამის სულ სოფლად გაიხიზნონ ლიონელი წვრილი მქსოველები და მუშებიო“, ემუდარებიან ლიონელები. საქმე ის არის, რომ გაუმჯობესებულმა (მექანიკურმა) საქსოვებმა, ნამეტურ იაფ-ფასიან აბრეშუმეულობის ქსოვაში, მუშათა რიცხვი შეამცირა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ხელით მომუშავეებს ერთი ათად მოასწრო მუშაობაში. ეს უკანასკნელები იძულებულნი არიან, ან გააუმჯობესონ საქსოვები, ან სულ ხელი აიღონ იმ ხელობიდგან, რომლითაც იმ თავით ამ თავამდე თავს ინახავენ. მართალია, ჯერ არ გადაწყვეტილა, თუ რა გვარს დახმარებას აღმოუჩენს მთავრობა მქსოველებს, მაგრამ, როგორც ვაჭრობის მინისტრის პასუხიდგანა სჩანს, რომელიც მთხოვნელებს მისცა, მთავრობა არჩევს არა ბაჟის მომატებას, რომელიც „მტრისაგან ვერ დაგვიფარავსო, სამართლიანად მიუგო მინისტრმა, რადგან იგივე შვეიცარიელები საფრანგეთს გვერდს აუვლიან და ინგლისში შეგვეცილებიან და ფასებს დაგვიწევენ, სადაც უნდა გავყიდოთ ჩვენ ჩვენი საქონელიო“, მთავრობა არჩევს, საქსოვების გაუმჯობესობაში თვითონ მქსოველებს დაეხმაროს პირდაპირ და ამით შვეიცარიის „მომდურებაც“ თავიდგან აიცილოს.

როგორც ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, უკანასკნელის ხუთის წლის განმავლობაში საფრანგეთის მეაბრეშუმეთა რიცხვი ამ ნაირად შეიცვალა: 1896 წელს პარკი მოუწევია სულ 145,310 მეაბრეშუმეს; 1897 წელში—133,253 მეაბრეშუმეს; 1898 წელში—123,288; 1899 წელში—128,114; 1900 წელში 136,214—მეაბრეშუმეს. ესე იგი, 1896 წლიდგან რიცხვი მეაბრეშუმეთა შემცირებულა, ასე რომ 1897 წელში თორმეტ ათასზედ მეტი მოჰკლებია, 1898 წელში—ათი ათასამდის წინანდელთან შედარებით, ხოლო სულ, თექვსმეტიდგან თვრამეტის გასვლამდის, საზოგადო რიცხვს მოჰკლებია ოცდაორი ათასი მეაბრეშუმე; შემდეგ 1899 წელს წინანდელთან შედარებით მოუმატნია ოთხი ათას რვაასი (4,826), ხოლო 1900 წელს—რვა ათას ასი მეაბრეშუმე, და სრულიად ამ ორივე უკანასკნელი წლის განმავლობაში მოჰმატებია ცამეტ ათასამდის, მაგრამ მაინც აკლია იმ რიცხვამდის ასვლა, რაც 1896 წელში ყოფილა, ე. ი. ცხრა ათასი მეაბრეშუმე. შესანიშნავია, რომ შემცირება მეაბრეშუმეთა რიცხვისა იმ წლის შემდეგ იწყება, როცა (1896 წელში, მაგალითად) პარკის ფასები მცირე იყო, ხოლო მომატება საზოგადო რიცხვისა იწყება იმ წლის შემდეგ, როცა ფასებმა აიწია. ეს ჩვენშიაც შენიშნულია: თუ წელს კარგი ფასები იყო, საგაისოდ ბევრი ჰკიდებს ხელს ჭიის „დაჯენას“, თუ წელს ფასები დაეცა. სამერმისოდ ბევრი თავს ანებებს. ამ ანგარიშით შარშანდელი წელიწადი აქაურთათვის უხეირო იყო; ზამთარმაც ისე გაიარა, რომ შარშანდელი მოსავალი ვერ გაიყიდა და ახალს მოსავალში ბევრი პარკი გადავა,—მოსალოდნელია, რომ მეაბრეშუმეთა რიცხვი აქ კიდევ დაიკლებს. ამიტომაც არის, რომ აქაური მეთესლეები ძლიერ შეშინებულნი არიან გაზაფხულზედ თესლის გასაღებისათვის და კრება ჰქონდათ და კიდევ უნდათ შეიკრიბონ, რომ მოსალოდნელის დაბრკოლების საწინააღმდეგოდ რაიმე ღონე იღონონ. თუ თესლი აქაც და სხვაგანაც, სადაც აბრეშუმს იწევენ, საკმაოდ გაიცა, მოსალოდნელია, რომ მოსავალიც საკმაო მოვა. ამ შემთხვევაში შარშანდელს პარკს, რომელიც დღეს აქა გვაქვს, აგრე რიგად აღარ მოეძალება მყიდველები; წინააღმდეგ ამისა, თუ შენიშნეს, რომ თესლი უხალისოდ დარიგდა და მეაბრეშუმეთა რიცხვი მომავალის მოსავლისათვის შემცირდა, ძველი პარკი ფასებს მოიმატებს.

	კოლოფი 6 მისხლიან თესლისა გაყიდულა აქ.	რომელსაც მოსავალი მოუცია კილო პარკი.
1896 წ.	221,743	9,318,765
1897 „	198,883	7,769,133
1898 „	184,980	6,893,033
1899 „	182,945	6,993,339
1900 „	205,584	9,180,404

ესე იგი, ამ ხუთის წლის განმავლობაში დიდი მოსავალი შედარებით 1896 წელს მოსულა და 1900 წელს. ორჯერვე ფასები დაეცა, მაგრამ წინად უფრო, ვიდრე წელს. ერთი მეორეზე თითო ექვს მისხლიანს კოლოფს თესლს მოუცია კარგს წლებში ას ხუთიდგან ას თერთმეტ გირვანქამდის ნედლი პარკი; ნაკლებს სამს წელში—94—96 გირვანქამდის. თითო კოლოფი თესლი შარშან გაყიდულა აქ სამი მანეთიდგან სამ მანეთ ნახევრამდის. ეს ის თესლია, რომელსაც აქაურები ყიდულობენ და აქვე იჯენენ. ხოლო სხვა ქვეყნებში აქედგან გააქვთ თესლი (რამდენიც გნებავთ) ოთხ აბაზიდგან შვიდ აბაზამდის კოლოფი. აქ რომ შვიდ აბაზად იყიდონ, იმას ჩვენში რაღაცა სხვა სახელი უნდა დაარქვან. ერთი „სახელოვანი“ მეთესლე „დამაზლიკს“ ეძახდა, მაგრამ მოსავალი არ მოუცია... და ეს თესლი ხომ ჩვენის მეაბრეშუმეობის ნამტკივნი ადგილია (Больное мѣсто ს იმერეთში „ტკივანს“ ეტყვიან)! ამ საჭირბოროტო საკითხის შესახებ ბევრი რამა მაქვს სათქმელი მეაბრეშუმეებისათვის, მაგრამ სამერმისოდ და არა ახლა, როცა უამისოდაც გაგრძელდა ეს წერილი. ვიმეორებთ, რომ ზემოდ მოყვანილი ცნობები ოფიციალურ წყაროდგან არის ამოკრებილი; ყოველს შემთხვევაში, უფრო დაახლოვებით მართალია, ვიდრე ჩვენში იციან ხოლმე ამ გვარს შემთხვევებში.

ნ. წ.

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

„The Truth“-ში დიდად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ერთის ინგლისელის ოფიცერისა იმის შესახებ, თუ ომის საქმე სამხრეთს აფრიკაში რა მდგომარეობაშია. აი, ეს წერილი:

„ხშირად კითხულობენო,—სწერს ოფიცერი, – ომი როდის გათავდებაო? ამ კითხვაზედ მე მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს მზადა, სახელდობრ, ის, რომ ომი არასოდეს არ გათავდება. ვინც ამტკიცებს, ომი გათავდაო, სჩანს იმას საქმის ნამდვილი გარემოების შესახებ არავითარი წარმოდგენა არა აქვს. ივლისის დამლევიდგან ჩვენ იმის მეტი არა გაგვიკეთებია-რა, რომ ერთ-თავად უკან და უკან ვიხევთ. ჩვენის გენერლების დეპეშებში ერთი მართალი სიტყვა არ მოიძებნება. არც ერთი მათგანი საჭიროდ არა სთვლის მთავრობასა და ერს ნამდვილი გარემოება აცნობოს. შვიდი წელიწადიც რომ ვეომოთ, ბურებს მაინც ვერ დავიმორჩილებთ!.. და ვერ დავიმორჩილებთ-კი იმიტომ, რომ არ შეგვიძლიან ბურებს სურსათის მიდება მოვუსპოთ, შევავიწროვოთ.

„ინგლისშა მრავალი დეპეშა იგზავნება,—ბურებს აურებელი საქონელი დავტაცეთ და წავართვითო. რა სასაცილოა, რომ იცოდეთ! ვთქვათ, გენერალმა ფრენჩმა 20,000 სული საქონელი წაართვა მტერსა და დეპეშაც აფრინა: ესა და ეს ვაჟკაცობა ჩავიდინეო! კარგი და პატიოსანი, მაგრამ არ იტყვით ახლა, რა უნდა უყოს ამ საქონელს, სად შაინახოს? ამასთვის ფრენჩს ადგილი არსად მეეძებება და საქონელს ღვთის ამარად სტოვებს იქვე, სადაც მტერს საქონელი დასტაცა. ამ დროს მოდის მეორე გენერალი ინგლისელებისა ბარტონი და ამავე საქონლიდგან, რომელიც ღვთის ანაბარაზედ იყო დატოვებული, 10,000, ე. ი. ნახევარს მოიტაცებს (ვითომდა!). ბარტონიც ხელახლად მთავრობას ახარებს ესა და ეს საგმირო საქმე ჩავიდინეო და სხ.. მაგრამ ყველა ეს სასაცილო არ არის განა? თითონ ჩემს ჯარს წაუყვანია ათასობით სული საქონელი, მაგალითად, 2,000 სული ხარი და 8,000 ცხვარი, მაგრამ რად ნეტავ; იმიტომ, რომ ისევ მტრისათვის დაგვეტოვებინა? ჩვენ არა ერთხელ მოგვხდომია მთელს ქარავანსა და ჯოგში გავლა, მაგრამ ვერ გვისარგებლნია, რადგანაც ამოდენა მანძილზედ საქონლის გაწყვეტა შეუძლებელია და სხვაფრივ-კი ვერაფრით ვისარგებლებდით.

„რაც შეეხება ფქვილის საგზალს, ეს ხომ ბურებს თითქმის ყველგან ბლომად აქვთ და დამშევით არასოდეს არ დაიმშევიან. პირ-იქით, ბურებს, რომლებიც ახლა ჩვენ გვებრძვიან, ასე კმაყოფილადა და უზრუნველად არსად უცხოვრიათ, როგორც ახლა სცხოვრობენ და დახარჯვით ცალს გროშსაც არა ჰხარჯავენ.

„დარჩა ახლა სამხედრო იარაღი და სამზადისი, მაგრამ არც ეს დააბრკოლებს. ჯერ ერთი, ბურები ძალიან გამოზოგვით ჰხარჯავენ ტყვია-წამალსა და მეორეც, თითონ ჩვენ, ინგლისელებს იმდენს ვტოვებთ, რომ არაოდეს არ შემოაკლდებათ. აი, თუნდა ამ ბოლო დღეებში, გუსტემბერგთან ტყვია-წამლით გატენილი ორ-ორი მატარებელი ჩაიგდეს ხელთ. მარტო ეს ტყვია-წამალი ეყოფათ რამდენსამე თვესაო“.

საფრანგეთი. პალატის მიერ გრუსსე-ფურნიეს წინადადების მიღება, რომლითაც ამიერიდგან ასსოციაციებსა და სარწმუნოებრივს კონგრეგაციებს შუა დიდი ზღვარია დადებული და რასაც მთავრობა ასე უფრთხოდა, მხოლოდ რადიკალებისა და სოციალისტების გამარჯვებას ამტკიცებს, რომლებიც კონგრეგაციების წინააღმდეგ მთავრობისაგან უფრო სასტიკ საშუალებათ ითხოვენ. კლემანსომ თავისს ჟურნალს „Bloc“-ში წერილი დაბეჭდა, რომლითაც ამტკიცებს, რომ საჭიროა უთუოდ ყველა კონგრეგაციები აღკრძალულ იქმნენ. იგი სრულიად არ ერიდება და პირდაპირ დაჰსცინის რესპუბლიკელთ, რომ ვერ გაუბედნიათ და ეს ცვლილება ვერ შემოუღიათ. კლემანსოს სიტყვით, ნება დართულ და ნება დაურთველ კონგრეგაციებს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც თეთრს სამღვდელოებასა და ბერებს შორის: ესრეთი განსხვავება მხოლოდ მხდალი სოფისტების მოგონილია, რომელთაც სიტყვიდგან საქმეზედ გადასვლა ვერ გაუბედნიათ. ბერი იქნება თუ მღვდელი, ერთია, ორივე ერთსა და იმავე უფლებას აღიარებს: ეკკლესიასა და პაპს.

„ვალდეკ-რუსსო ბოროტებად კონგრეგაციების ქონებას აღიარებს, მაგრამ ერთს წამსაც არ ეწინააღმდეგება და ქონებას სამუდამოდ კონგრეგაციას უმტკიცებს, თუ რომ იგი ნება დართულიაო,—სწერს კლემენსო. იგი უკიჟინებს კონგრეგაციებს, რომ საწინააღმდეგო რევოლიუციას ახდენენ, რომ ეროვნებას ეკკლესიას უმორჩილებენ და იმავე დროს ასეთ საშიშ დაწესებულებათ ათასგვარს სახელმწიფო შეღავათსა და უფლებას ანიჭებს. თეთრს სამღვდელოებაზედ სახელმწიფო მთელს მილიონებსა ჰხარჯავს, თუმცა კარგად იცის, რომ იგინი ბერებისაგან არაფრით არ განირჩევიანო“.

სამაგიეროდ „Petite République“-ში ჟორესს სამინისტროს მხარე უჭირავს. აი, რასა სწერს იგი:

„დიდი და მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა, რომ რესპუბლიკელთა უმეტესობას ხელი ვინმეს შეეშალოს და იმ აზრის განხორციელება არ შეაძლებინოს, რომელსაც ამ ბოლო დროს ხელი მოჰკიდეს. ისაც დიდი რამ არის, რომ მთავრობის პროექტმა პრინციპები განსაზღვრა და მათს აღსრულებას საძირკველი ჩაუყარა. ისიც დიდი რამ არის, რომ სარწმუნოებრივ კონგრეგაციების უძრავი ქონება მთავრობამ ხელშეხებულად აღიარა და ერთს ადგილას მაინც არის გაარღვია იგი, თუმცა სრული გამარჯვება ჯერ კიდევ შორს არის. აქ საყურადღებოა ის, რომ ქვეყანამ თვალი გაახილა და დაინახა, თუ კონგრეგაციები რა ქონების პატრონნი არიან, პოლიტიკასა და მოსწავლე ახალგაზრდობაზედ რა გავლენა აქვთ. ამ რიგად, მთავრობის პროექტი სასარგებლოა არა მხოლოდ იმითი, რომ ზოგიერთი კერძო საშუალებანი იღონა კონგრეგაციების წინააღმდეგ, არამედ იმითიც, რომ ქვეყანას თვალი გაუხილა და დაანახვა, თუ ამ მხრივ რა საფრთხე მოელოდა. ამისათვის მთავრობა და მასთან რესპუბლიკელთა უმეტესობა ღირსია მომხრეობისა, თანაგრძნობისა“.

დასასრულ ჟორესი სოციალისტებს მიჰმართავს და სთხოვს, რომ მთავრობას ამ მხრივ დაბრკოლება არაფერში აღმოუჩინონ და რეაქციონერებს არ მიემხრნენ, რეაქციონერებს, რომლებიც სამინისტროს გასაცრუებლად იმასაც-კი არ ერიდებიან, რომ თავისს პრინციპიალურს მტრებს, სოციალისტებს მხარი დაუჭირონ.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად პეტერბურგში მოსულა ხუთი ბური, ხუთივე დევეტის ჯარის კაცად ნამყოფი. სხვა-და-სხვა დროს ჩაჰვარდნიან ტყვედ ინგლისელებს ეს ბურები; ბევრი წვალება, წვა-დაგვა და განსაცდელი გამოუვლიათ თურმე, ვიდრე პეტერბურგში მოვიდოდნენ. მეომარნი სულ ახალგაზდანი ყოფილან, არც ერთს არა აქვს წვერი, სწერს ერთი რუსული გაზეთი, ორი ამათგანი მეტად ზორბა და გოლიათის ტანისანი არიანო. ერთს მეომართაგანს ამას წინად გაუთავებია იოჰანნესბურგის უნივერსიტეტი, მეორე ომის დაწყებამდე ვექილად ყოფილა, მესამე ბანკში მსახურებდა, მეოთხე— რკინის გზის კანტორაში. რაც შეეხება მეხუთეს, ლომად წოდებულს, ამ კაცს ათასი საქმე და ხელობა გამოუცდია. ეს ლომი მშვენივრად ლაპარაკობს თურმე ნემენცურად და ინგლისურად; ფრანგულიც სცოდნია ცოტათი. ლომს უთვალავ ბრძოლასა და შეტაკებაში მიუღია მონაწილეობა. ტყვედ ჩაჰვარდნია მტერს მაშინ, როდესაც პიტერ დევეტის უკანა რაზმში ყოფილა. ეს რაზმი უკან დახეულ მთავარ ჯარს იცავდა მტრისაგან. ლომს, როგორც სხვა მეომარ ბურებს, ორი ცხენი ჰყოლია, ერთი შესაჯდომად, მეორე ბარგის საზიდად. ერთ შეტაკებაში ბურებს ცხენები კაფრებისათვის გადაუციათ, შეშინებული კაფრები გაქცეულან და ცხენებიც თან წაუყვანიათ. ქვეითად დარჩენილ ბურების გაქცევა შეუძლებელი და იყო. გარს შემორტყმულ ინგლისელებს ტყვედ ჩაუგდიათ მეომარნი. ლომი კინაღამ არ დაუხვრეტიათ ამ დროს, რადგანაც იგი თავისას არ იშლიდა და სულ ბოლო დრომდე თოფს ესროდა მტერს. ამ დღიდგან დაიწყო თურმე ტყვეების ტანჯვა. საჭმელიც კი არ უძლევიათ ხეირიანი. ნახევრად უმ ხორცს პირდაპირ იატაკზედ უყრიდნენ ტყვეებს. ერთხელ, ზედამხედველის გასაბრაზებლად, სტვირით ტრანსვაალის საერო ჰიმნი დაუკრავს ლომს. ზედამხედველი ისე გაბრაზებულა, რომ ტყვე გალიაში ჩაუსვამს. ამის შემდეგ დაერქვა თურმე მას „ლომი“.

კაპშტადტიდგან ტყვეები კინაღამ გაქცეულან. ყველანი კარვებში მოუთავსებიათ. ტყვეებს გვირაბის თხრა დაუწყვიათ, ის იყო ათავებდნენ თურმე, როდესაც ვილასაც დაუბეზღებია, და ინგლისელებს ყველაფერი შეუტყვიათ. დეკემბრის მეორე ნახევარში 631 ტყვე გემზედ დაუსვამთ და ზღვით გაუგზავნიათ. გემზედ უფრო სასტიკად და ცივად ექცეოდნენ ტყვეებს. ბოლოს, გემი ერთ ნავთსადგურში მისულა. ნაპირზედ საპატიმროები ყოფილა და ტყვეებს იქ ისტუმრებდნენ. ლომი კარგად მიმხვდარა, რომ

თუ გემიდგან გადაესვათ და საპატიმროში ჩაესვათ, განთავისუფლებას ველარ ეღირსებოდა. ამიტომ ამასა და რამდენსამე ამხანაგს განუზრახავთ გაქცევა. გემიდგან უკვე გადაესხათ 150 კაცი. მეორე დღეს 150 კაცი კიდევ სხვა გადუსხამთ. მესამე დღეს ლომის გადასვლის ჯერი ყოფილა. ნავთსადგურში გემები მდგარა: მახლობლად ფრანგების გემი, ცოტა იქით რუსებისა, ხოლო უფრო მოშორებით იაპონელებისა და ინგლისელებისა. შეთქმულ ტყვეებს პალუბაზედ ასვლა მოუხერხებიათ. იქ სიბნელეში დარაჯის შეუმჩნევლად, გემისათვის თოკი მოუბავთ და წყალში ჩაუშვიათ. თვით პალუბაზედ რამდენიმე დარაჯი ყოფილა, ამას გარდა გემის გარეშემოც დაძრწოდნენ თურმე სადარაჯო ნავები. პირველად თოკთან ლომი მისულა. როდესაც დარაჯი მიბრუნებულა, უტაცნია ხელი თოკისთვის და ჩაშვებულა საჩქაროდ ზღვაში. დანარჩენნი ოთხნიც ასევე მოქცეულან. ზღვაში ცურვით გასდგომიან გზას: სამი—ფრანგთა, ორი—რუსთა გემისაკენ. ყველანი წყლის ქვეშ მიცურავდნენ თურმე. რადგანაც დიდი მანძილი ჰქონია გასავლელი, ლომი ძალიან დაღლილა, ნახშირით დატვირთულ ინგლისელთა ნავთან გაჩერებულა და სული მოუბრუნებია; შემდეგ ხელ-ახლა შესდგომია ცურვას. როდესაც რუსების გემთან მისულა, ინგლისურად დაუძახნია, თოკი გადმომიგდეთო. მალე გემზედაც ასულა; რუსებს ძალიან კარგად მიუღიათ გამოქცეული ტყვეები, ამავე გემზედ ასულა სამი ტყვეც; ეს ტყვეები ფრანგების გემზედ უნდა ასულიყვნენ, მაგრამ გემი მალე დაძრულა და ველარ მიუსწვრიათ. ამ გემით ბურები შავ-ზღვაში შემოსულან და იქ ნავთსადგურში გადამხტარან, საიდგანაც ბოლოს პეტერბურგში ჩასულან პასტორ გილლოტთან. პეტერბურგი ძალიან მოსწონებიათ გამოქცეულთ. ქალაქი დაუთვალიერებიათ; სხვათა შორის, ყოფილან ერმიტაჟშიაც, სადაც საუკეთესო სურათებია შეკრებილი. ძალიან მოსწონებიათ ბურებს ბ ნ გრუზინსკის ერთი სურათი—„ქართველთა გადასახლება“. სწორედ ისე უმოგზაურნიათ ქართველებს, როგორც ჩვენში მოგზაურობენო, უთქვამთ ბურებს.

პირველ თებერვალს ბურები პეტერბურგიდგან საზღვარ-გარედ წასულან.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 თებერვალი

პეტერბურგი. „სავაჭრო-სამრეწველო გაზეთში“ დაბეჭდილია: „რუსეთისა და შეერთებულ შტატების საერთაშორისო დამოკიდებულებაში დიდი ხანია დამყარებულია მეგობრული განწყობილება, რომელიც თავისს ნიშანს ატყობს ამ სახელმწიფოთა საურთიერთო დამოკიდებულებას. ხოლო თუ ეხლა ამ მეგობრულს განწყობილებას ჩრდილი მიეფინა, ეს წარმავალი მოვლენაა. რუსეთის შაქარს გააწერეს გამათანაბრებელი გარდასახადი იმ არა-წესიერის საფუძველით, რომ მას დაფარული პრემიები ეძლევაო. დაადგინა რა ეს თავისის სურვილის წინააღმდეგ, სახაზინოს მდივანი გეჯი დაგვპირდა, ყოველს ღონისძიებას ვიხმარებ, რომ ეს საგანი რაც შეიძლება მალე განიხილოს შტატების უზენაესმა სასამართლომაო. რუსეთის ფინანსთა მინისტრი მხოლოდ უმწვერვალესის მწუხარებით იძულებულ იქმნა, გარეშე საქმეთა მინისტრთან მორიგებით, დაედგინა ამერიკიდგან ზოგიერთ შემოსატან ნაწარმოებზედ გაძლიერებული სადამოჟნო გარდასახადი. ყოველივე ეს, თვით უნამდვილესობა იმ გარემოებისა, რომ რუსეთი გატანილს შაქარზედ არავითარს პრემიას არ აძლევს, აგრეთვე ის ამბავი, რომ არც ერთი მხარე არ თანაუგრძნობს ამ ხმარებულ ღონისძიებათ, რომელნიც რუსეთის მხრივ გამოწვეულია მეორე მხარის მიერ, დასასრულ ორისავე სახელმწიფოს მეგობრულ კავშირთა სიმტკიცე იმედს გვაძლევს, რომ ეს წინაუკმოობა ჩქარა გამოირკვევაო“.

5 თებერვალს ყაზანის საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი სერბიის მეფის მილანის სულის მოსახსენებლად; პანაშვიდს დაესწრნენ: სერბიის ელჩი მეუღლითურთ, მდივანი სტანაიკოვიჩი, სამხედრო აგენტი რაიკოვიჩი, ვ. ვ. კომაროვი, სერბიის აფიცრები და რამდენიმე სერბი-სტუდენტი.

ნიუ-იორკი. ამერიკის მთავრობისათვის სრულიად მოულოდნელი იყო ის ამბავი, რომ რუსეთის შაქარზედ ამერიკის მიერ გარდასახადის მომატების გამო რუსეთმა ასე სწრაფად იხმარა შურის-საგებელი ღონისძიებანი. საზოგადოება და ფინანსთა მინისტრი ალბად ჰფიქრობდნენ, რომ დამოჟნის სამფარველო გარდასახადის დაწესებას მხოლოდ ცალ-მხრივი მნიშვნელობა აქვსო. ასე ჰფიქრობენ მაინც ამერიკის აწინდელი პოლიტიკოსები. ამიტომ ორსავე მთავრობას სადამოჟნო ომი მოელით, რომელშიაც უპირატესობა რუსეთის მხარეს არის, რადგან რუსეთს ერთი ორად უფრო მეტი ნაწარმოები მიაქვს ამერიკიდგან, ვიდრე ჰგზავნის ამერიკაში.

ბრიუსელი. საფრანგეთ-ბელგიის სინდიკატმა გარდაუხადა ხანკოუ-კანტონის რკინის გზის კონცესიის მეაქციეთ 35 მილიონი დოლარი ამ კონცესიის დათმობისათვის. რკინის გზის გაყვანა მალე დაიწყება.

კოლსბერგი. ნოქსი გავიდა ორანჟეს მდინარეზედ. ბურების უმეტესი ნაწილი კოლსბერგიდგან დასავლეთით ისე შორსა სდგას, რომ კოლსბერგთან არავითარი მიმოსვლა არა აქვს. როგორც ხმა დადის, 2 თებერვლის ბრძოლაში მოკლულია და დაჭრილი 65 ბური.

პეკინი. ელჩებს დილით თათბირამდის დაურიგდათ ჩინეთის რწმუნებულების ეპისტოლე, რომელშიაც მოყვანილია იმპერატორის ბრძანების შინაარსი, რაც განმეორებაა მისისავე სასჯელთა შესახების დეპეშისა. ამ ბრძანებიდგან სჩანს, რომ პრინცმა ტუანმა თითონვე უნდა მოიკლას თავი, იუსენი-კი უნდა დაისაჯოს. ორივე განაჩენი უნდა აღსრულებულ იქმნას მთავრობის წარჩინებულ მოხელეთა თანადასწრებით უცხო-ქვეყნელთა დასაკმაყოფილებლად. ვიდრე იმპერატორის მიერ ჩიჟისინისა და ლიშანვის სიკვდილით დასჯის განაჩენი იქმნება დადგენილი, გამოძიება უნდა მოხდეს. ტუნფუსიანს ღირსება ჩამოერთმევა; დანარჩენნიც დასჯილ იქმნებიან. იუინჩენი და ჩჟაჩჟუჩჟიაო ციხეში იქმნებიან დაპატიმრებულნი სიკვდილამდე, ხოლო იმათ ოჯახობას ჩამოერთმევათ ყოველივე მინიჭებული ღირსება. აქ იმ აზრისანი არიან, რომ ელჩები საკმარისად არ ჩასთვლიან ამ ბრძანებას, რადგან იგი განმეორებაა უკანასკნელის წინადადებისაო. თათბირზედ ელჩებმა მოილაპარაკეს სასყიდლის რაოდენობის შესახებ. გარდაწყვეტილ იქმნა, რომ ელჩებს უფლება აქვთ მხოლოდ მოითხოვონ იმ ზარალის აღდგენა, რომელიც იმათ თანამემამულეებს მოსვლიათ, რაც შეეხება ომის გამო გაწეულს ხარჯს, ამ სასყიდლის რაოდენობა თვით მთავრობათ უნდა განსაზღვრონო.

შანჰაი. იმპერატორის ბრძანებანით დანიშნულ იქმნენ მოხელენი, რომელთაც უნდა თვალყური ადევნონ, რომ ტუანმა თავი მოიკლას, ხოლო იუსენს თავი მოჰკვეთონ. კანს სიკვდილის შემდეგ ჩამოერთმევა ის წოდება, რომელიც სიკვდილამდე ჰქონდა, ხოლო მისს ოჯახობას მოესპობა პენსია და ყოველივე იმათი საპატიო ადგილები და ღირსებანი გადაეცემათ ხაუიუნის და ცზუნგლი-იამენის სხვა წევრებს, რომელნიც დასჯილ იქმნენ პეკინში. დასასრულ ნაბრძანებია მწუხარება იქმნას გამოთქმული იმის გამო, რომ ისინი უსამართლოდ იქმნენ დასჯილნი, ხოლო იმათ ოჯახობათ დახმარება გაეწიოს.

ვენა. სოფიისა და კონსტანტინოპოლიდგან მიღებულ ცნობებიდგან გაზ. „Politiche Correspondenz“-ს დასკვნა გამოჰყავს, რომ მაკედონიაში მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფელად ხმარებულ ღონისძიებაში ყველა დიდი სახელმწიფო იღებდა მონაწილეობას და რუსეთისა, საფრანგეთისა და გერმანიის წარმომადგენელთაგან წინადადებული ჰქონდა სოფიის კაბინეტს, ყოველივე თავისი გავლენა ეხმარა, რათა მაკედონიის კომიტეტის აგიტაცია შეეზღუდაო. მინისტრ-პრეზიდენტი პეტროვი დაჰპირდა, ყოველსავე ღონეს ვიხმარებ თქვენის მოთხოვნილების აღსასრულებლადაო. მთავარ ფერდინანდს, ვენაში ყოფნის დროს, ვენის ხელმძღვანელ წრეებმა უკვე უჩვენეს, რომ აუცილებლად საჭიროა ბალკანეთში მშვიდობიანობის დაცვაო.

პეკინი. რადგანაც მშვიდობიანობის შესახები მოლაპარაკება მძიმედ და გამოურკვევლად სწარმოებს, ვალდერზეემ სთხოვა მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარების უფროსებს, მოამზადონ ახალი ძლიერი ექსპედიციები, რათა სრულიად განათავისუფლონ ჩჟილის პროვინცია ჩინეთის ჯარის კაცთაგან. გერმანიის კომისარიატმა ბრძანება გასცა 18 დღის განმავლობაში მომზადებულ იქმნას ათასი საბარგულე ურემი გაზაფხულის ექსპედიციისათვის. ამ განკარგულებას, როგორცა სჩანს, უმთავრესად აზრად ისა აქვს, რომ ჩინელებს მათი მხსნელი შიში აგრძნობინოს.

ბელგრადი. ახალის კაბინეტის შედგენის საქმე სრულს მოქმედებაშია. დღეს მოვიდა პარიჟიდგან იქაური სერბიის ელჩი მიხეილ ვუიჩი, რომლის შესახებაც არა ერთხელ უთქვამთ, რომ სერბიის ახალ გარეშე საქმეთა მინისტრად იქმნება დანიშნულიო. ვუიჩი რამდენჯერმე იყო ფინანსთა მინისტრად; იგი ზომიერ რადიკალთა დასს ეკუთვნის.

6 თებერვალი

პეტერბურგი. „სავაჭრო სამრეწველო გაზეთი თავისს წერილში: „ემზადება თუ არა რუსეთი სავაჭრო ხელშეკრულებათათვის?“, იხსენიებს რა, რომ 1903 წელს უთავდება ვადა ხელშეკრულებათ, უცხო-ქვეყნის ზოგიერთ სახელმწიფოსთან დადებულსო, სწერს: იქ გავლენა აქვს ჟურნალ-გაზეთობას, დასთა ბრძოლას, აგიტაციას, და მთავრობა იძულებულია, უცხო-ქვეყნის სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დადებამდე, თითქოს მოელაპარაკოს, ადრევე შეეთანხმოს საპოლიტიკო დასებს და ამითი მათგან დამოკიდებული იყოს. სულ სხვაა რუსეთში: აქ არა-ნაკლებ გულ-დადებით იკვლევს მთავრობა საჭიროებათ, ჰსინჯავს შუამდგომელობათ, ხოლო სხვათაგან დამოუკიდებლად ჰმოქმედებს, ჰხელმძღვანელობს ერის საზოგადო სარგებლობით, რომელსაც გულითა და გონებით გაფაციცებით იცავს ხელმწიფე. ჩვენი მთავრობა არა ჰხედავს საფუძველს ზოგიერთ სახელმწიფოში ყოფილ დაუსრულებელ განცხედებისას, რომელიც რუსეთის მიმართ სადამოჟნო—გარდასახადთა დამოკიდებულების შეცვლის საჭიროებას თხოულობს. რასაც უნდა დაჰპირდნენ იქ ხალხს ამ საქმეში, რუსეთის მთავრობას ფიქრადაც არ მოუვა, რომ ღრმად—დაკვირვებულმა სახელმწიფო მოღვაწეებმა რუსეთი იქონიონ მხედველობაში, ვითარცა მერმისში გარდამხდელი იმათის ანგარიშებისა. რასაკვირველია, ყოველს დამოუკიდებელს სახელმწიფოს ნება აქვს ღონისძიებანი იღონოს პურის გაძვირებისა გამო, რომელსაც მისნი მუშანი ჰხმარობენ, მაგრამ დამოუკიდებელი და ძლიერი რუსეთი არ მოაწერს ხელს ისეთს ხელშეკრულებას, რომლითაც მისს სასოფლო-მეურნეობის მრეწველობას უფრო ძლიერი სადამოჟნო გარდასახადი დააწვება. რუსეთის პური საჭიროა ყველა სამრეწველო სახელმწიფოსათვის და მარტო ის ხმა, რომ აღკრძალული იქმნება პურის გატანა რუსეთიდგანაო, აღაშფოთებს ხოლმე მთელს სამრეწველო ქვეყანას. რუსეთს შიში არა აქვს უმყიდველებოდ დარჩენილსა და ყოველთვის თავისუფლად ამოირჩევს თავისთვის უფრო სასარგებლო სავაჭრო დაკმაყოფილებას. სავაჭრო ხელშეკრულება ორ-მხრივი საქმეა. თუ სამფარველო გარდასახადიანი სახელმწიფო მიისწრაფის შეჰზღუდოს საქონლის სხვა სახელმწიფოთაგან მოზიდვა, მისივე სარგებლობა თხოულობს, რომ რაც შეიძლება მეტი საქონელი გაჰზიდოს სხვა სახელმწიფოებში. იმპერატორის ალექსანდრე მე-III ის სურვილით რუსეთი სავაჭრო ხელშეკრულებანით შეეკრა თითქმის ყველა სახელმწიფოს და იმის გამო, რომ რუსეთს ზოგიერთი რამ დაეთმო ვაჭრობაში, მან გაუადვილა უცხო ქვეყნელებს სავაჭრო დამოკიდებულებანი ჩვენთან; ამან დიდად გააძლიერა საქონლის გატანისა და შემოტანის საქმე. ამას გარდა, სავაჭრო ხელშეკრულება განსაზღვრავს ორის ერის სამოქალაქო სასოგადოებრივს დამოკიდებულებასაც. გაზეთი აღნიშნავს ყველა იმ სარგებლობას, რომელიც, აქვთ უცხო-ქვეყნელებს რუსეთისაგან, მეტადრე ნემცებს. რუსეთის შუაგულში, მოსკოვში, ნემეცთა ახალშენი იმდენად ძლიერია და დიდი, რომ უეჭველია ნემეცთა ახალშენებში ერთუდიდე თაგნად უნდა ჩაითვლებოდეს. სა მოჟნო-გარდასახადის გარდა, საე რო ხელშეკრულება ერთა სხვა ი ტერესებსაც შეეხება. სახელმწიფ არა თუ მარტო საქონელსა ჰგზ ნიან რუსეთში, არამედ იმათი გ პატრონები და კაპიტალები ჰმუშ ბენ აქა და საკმაოდ უხვს სარგ ლობაცა აქვთ, რასაც რუსეთი ა სჩადის სხვა სახელმწიფოებში. ვინ ხმა-მაღლა აცხადებს, რომ განზრა მაქვს ასე თუ ისე მოვექცე რუ თიდგან მოტანილ საქონელსაო, ა საკვირველია, ახსოვს ამასთან რომ არყევს რა ერთს ნაწილს ხე შეკრულებისას, ამითი არხევს ამ დანარჩენს მუხლებსაც. რაც უნ ძვირად აფასებდეს რუსეთი მშვიდ ბიანს სავაჭრო დამოკიდებულებ თუ ემუქრებიან, რომ ვნებას მი ყენებთო შენის სასოფლო მეურნე ბის ნაწარმოების საქმეს, იგი ეცდ ბა და მოახერხებს ასეთს მუქარ შესაფერი მაგიერობა გაუწიოს. რუ სეთის მთავრობა კარგად ჰგრძნობ რომ რუსეთის ნიადაგზე უცხო-ქვე ნელთა ინტერესების დიდად რთულ ბადეა გაბმული, და ისინიც, რომელ ნიც დათვის მოუკვლელად მის ტყავ ანაწილებენ, მზად უნდა იყვნენ თა ნაბარ-უფლებიანისა და კარგად შეია რაღებულის მეტოქის შესახვედრად. რუსეთის მთავრობას სრულიად არ აფიქრებს ის აგიტაციები, რომელ ნიც საზღვარ გარეთ ხდება, და, მზად არის რა რუსეთის წინააღმდეგ ხმა რებულ შემავიწროებელ ღონისძი ბას მათ წინააღმდეგ დადგენილ შე მავიწროებელ ღონისძიებანითვე გა ცეს პასუხი, იგი გულ-არხეინად ემ ზადება მოსალაპარაკებლად, რომლის დროსაც დაცულ უნდა იყოს ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა მიერ ერთმანერთის თავისუფალ სარგებლობის პატივისცემა.

ბელგრადი. კაბინეთი უკვე შედგენილია. მინისტრ-პრეზიდენტი თითონ იტოვებს თავმჯდომარეობას და ჰმართავს სასჯულო საქმეთა სამინისტროს, ამის სანაცვლოდ გარეშე საქმეთა სამინისტრო უნდა გარდაეცეს ფინანსთა მინისტრად ყოფილს, აწინდელს პარიზის ელჩს, მიხეილ ვუიჩს; შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია ნიკოლოზ სტეფანოვიჩი; ვუიჩი ზომიერ რადიკალთა დასს ეკუთვნის, სტეფანოვიჩი წინად ნარედნიაკე იყო. სავაჭრო სამინისტრო დროებით ჩაჰბარდება ფინანსთა მინისტრს მიკა პოპოვიჩს, დანარჩენი მინისტრები-კი თავ თავისს ალაგასვე რჩებიან.

კაპშტადტი. დღეს, აქ სამი შემთხვევა იყო ჭირით ავად გახდომისა.

რომი. გამოცხადებულია მეფის ბრძანება, რომ იტალიისათვის ძალა აქვს გააგის კონფერენციის დამტკიცებულ საერთაშორისო დადგენილებათაო.

ნიუ-იორკი. ვაშინგტონიდგან ნაუწყები იყო, რომ ფინანსთა მინისტრმა გასატან პრემიის თანაბარი გარდასახადი შეაწერა ბელგიიდგან შემოტანილს შაქარსაო. აღმოჩნდა, რომ ეს გარდასახადი რამდენიმე წელიწადია, რაც ერთმევა ბელგიის შაქარს და ყოველ წელიწადს კვლავ მტკიცდება იგი. ამას წინადაც იგი კვლავ დამტკიცებულ იქმნა და ამ დამტკიცებამ ისე იმოქმედა, თითქოს შეერთებულს შტატებს ახალი ღონისძიება ეხმაროს. წინად შეწერილ გარდასახადთან შედარებით ახალი წესი სულ მცირეოდენს განსხვავებას შეადგენს, თუ არის რამ განსხვავება.

Дозволено цензурою. Тифлис, 5-го Февраля 1901 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხ.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე